

უწმიდესო და უნეტარესო საჭეთმპყრობელო საქართველოს ეკლესიისა და ვაზის  
ჯვრის მტვირთველო ილია II

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი თქვენი მხარდამჭერია და თქვენს გვერდით დგას

ღვთივკურთხეული ეკლესიური ცხოვრება თქვენი, ესაა მუდმივი ბრძოლა კეთილსა და  
ბოროტს შორის, ესაა ბნელისგან ნათლის გამოყოფის და საბოლოოდ მისი გამარჯვების  
პროცესისა და გადარჩენის გზისმაჩვენებლობის სამისიონერო ღვაწლი ერის სულიერი  
მამისა, ღვთისგან მადლნაპკური, წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველისეული სიტყვაკაზმული  
ძეგლისდებით და თქვენი ჩვენდამი მომართული სწავლების მადლით განგვიმარტავთ  
მრევლს, რომ ადამიანის სიცოცხლე მუდმივად მდინარე ნაკადია, რომელიც  
მარადიულობიდან მომდინარებს და მარადიულობასვე ერთვის.

გელათის სისტემაქმნადობის „ღმერთის“ ღვაწლის, „უზუშთაესმან და ღმრთივ-  
განბრძნობილმან მეფემან დავით“, სადარია თქვენი მაღალი მსახურება საქართველოს  
ეკლესიის აღმადგინებლად XX და XXI საუკუნეების ათწლეულებს რომ მოიცავს.

საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობლის ინტრონიზებული აღსაყდრების დღიდან მთელ  
მართლმადიდებელ ერს გამორჩეულად, ქართველი ათონელი განმანათლებლების დარად  
გვმოძღვრავთ - უფლის მიერ შექმნილი სამყაროს უმთავრესი საზრისის გასაცნობიერებლად  
და დაბადებულთათვის თანამდევი მცირედმორწმუნეობის ინფერნალური სენისგან ჩვენ  
გასაჯანსაღებლად. წმიდა ბიბლიის განმღრთობილ სიბრძნეზე მიგვითითებთ მუდამ სადაც  
გაცხადებულია, რომ „ღმერთი ამპარტავანსა შემუსრავს, ხოლო თავმდაბალთა მიანიჭებს  
მადლსა“ და შეგვაგონებთ, რომ უფალი ადამაღლებს ადამიანს, იოანე სინელისეული  
გულშემუსვრილობით და უფალივე დაამდაბლებს უღირსს.

თქვენი უწმიდესობავ და უნეტარესობავ, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
საპატიო დოქტორო და გ. ნიკოლაძის მედლის და საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნ.  
მუსხელიშვილის ოქროს მედლის მფლობელო, საქართველოს ეკლესიის მრევლს და ყველა  
პატიოსან მოქალაქეს ჩვენი ქვეყნისას, ისევე გვჭირდება თქვენი მწყემსმთავრობა, როგორც  
ღვთივკურთხეული აღსაყდრების დღეს საპატრიარქო საბრძანისზე და რაისთვისაც  
ვლოცულობთ ყოვლისდამბადებლის წინაშე საპატრიარქო საჭეთმპყრობლად თქვენი  
მრავალყამიერ მყოფობისათვის.

შვილთამიერი სიყვარულით: პროტოსიგნები: ი. გ. ბუჩიძე, მ. მკერდიაძე  
ლ. ქლოიშაშვილი, გ. ჯავახიძე, დ. ვოხიანიძე  
მ. გასიფაშვილი, ტ. აბნაძე-შვილი, ე. სლოყაძე, მ. მათაძე  
ლ. შაყვახიძე, ე. მთიერაშვილი, ი. იოანიძე, ნ. მუსხელიშვილი  
მ. ჩხიკვიანი, მ. ხამუშაძე; დ. მუსხელიშვილი, მ. ბიქაძე  
მ. იოანიძე, ზ. ხუციშვილი, მ. ბიქაძე, ა. ბიქაძე  
მ. სოსელიანი, გ. იოანიძე, ვ. ბიქაძე, ე. ბიქაძე  
მ. ხამუშაძე, ს. იოანიძე, ი. ბიქაძე, ე. ბიქაძე  
მ. ხამუშაძე, ს. იოანიძე, ი. ბიქაძე, ე. ბიქაძე